



- მივლინებულ მოსამსახურეს ფარულად მსახურობის პერიოდი ეთვლება შრომის საერთო სტაჟში.

ორგანიზაციების თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უფლება აქვს საიდუმლო თანამშრომელი ჩართოს დანაშაულებრივ ჯგუფში, მათ შორის, ნებისმიერ საწარმოსა და დაწესებულებაში, სადაც არსებობს ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ (კანონი "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ").

მათივე თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს კვლავ შეუძლია სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე დაწესებულებებში დანიშნოს მუდმივი წარმომადგენელი, მხოლოდ დაწესებულებასთან ურთიერთშეთანხმებით. ასეთი დაწესებულებების ნუსხა მთავრობის მიერ არის განსაზღვრული:

"აქედან გამომდინარე გაუგებარია რა მიზანს ემსახურება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, საწარმოსა და დაწესებულებაში საიდუმლო თანამშრომლის მუდმივად მივლენა".

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამის მთლიანად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე გავრცელებით, ჩნდება ლეგიტიმური ეჭვი, რომ შემოთავაზებული ცვლილებები წარმოადგენს მცდელობას დააბრუნოს და გააძლიეროს საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულ ე.წ. ოდერის პრაქტიკა:

"ერთი სამსახურისათვის ჭარბი, უკონტროლო ძალაუფლების და ტოტალური კონტროლის ბერკეტების მინიჭებით ვერ მივიღებთ სამსახურს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას ეფექტურად დაიცავს. ეს, მაღალი ალბათობით გამოიწვევს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და საფუძველს შეურყევს ქვეყნის ინსტიტუციურ მართვას".

მათივე თქმით, ასეთ შემთხვევაში გარე კონტროლის სუსტი მექანიზმები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქცევს ტოტალური კონტროლის მექანიზმად, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს.

ორგანიზაციები მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს, არ დაუჭიროს მხარი შემოთავაზებულ ცვლილებებს არსებული ფორმით და დაზვერვის სამსახურის კონტროლის მექანიზმები არ გაავრცელოს მთლიანად უსაფრთხოების სამსახურზე.

ხელმოწერილი ორგანიზაციები:

- *საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო;*
- *საქართველოს ატლანტიკური საბჭო;*
- *სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;*
- *მედიის განვითარების ფონდი;*
- *საზოგადოება და ბანკები;*
- *საქართველოს რეფორმების ასოციაცია;*
- *კვლევითი ჟურნალისტიკისა და ადვოკატირების ცენტრი;*
- *საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა;*

- საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი;
- მწვანე ალტერნატივა;
- ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი;
- ხმა საქართველოდან.